

საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტზე მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქციის ელექტრონული ვერსიის გამოყენებისას მომხმარებელს ეძლევა შემდეგი საშუალებები:

1. გამოიყენოს სწრაფი ძებნის ფუნქცია (find), რისთვისაც ინსტრუმენტების პანელში მდებარე სტანდარტულ გრაფაში (find) ჩაწეროთ საძიებო სიტყვა და დავაწვეთ ღილაკს “enter”. ზოგიერთ ვერსიაში ძებნის პანელის გამოსაძახებლად კლავიატურაზე უნდა დავაჭიროთ ctrl + F.



საძიებო სიტყვა ან ფრაზა აუცილებლად უნდა ჩაიწეროს ქართული შრიფტით, რისთვისაც დავალბათა პანელში ენის მაჩვენებელი “en” უნდა შეიცვალოს “ka”-თი.




პროგრამის მიერ ნაპოვნი ყოველი შემდგომი შედეგის სანახავად დავაწვეთ აღნიშნული გრაფის გვერდზე მდებარე ისარს - “find next”, ხოლო წინა შედეგის სანახავად - ისარს “find previous”.



იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს დაზუსტებით არ ახსოვს როგორ არის ნახსენები მოცემულ ინსტრუქციაში საძიებო სიტყვა, მიზანშეწონილია საძიებო გრაფაში ჩაიწეროს სიტყვის ნაწილი. მაგალითად: თუ ძებნაში ჩაწეროთ „დაბრუნ“, მოიძებნება სიტყვის ამ ნაწილის შემცველი ყველა სიტყვა (დაბრუნდა, დაბრუნებული, დაბრუნებით, დაბრუნდება და ა.შ.), მაშინ, როდესაც მთლიანი სიტყვის - „დაბრუნებით“ ჩაწერის შემთხვევაში ნაპოვნი იქნება მხოლოდ ამ სიტყვის ზუსტი შესატყვისი.

2. როგორც სარჩევში, ასევე ტექსტშიც გამოყენებულია მწვანე ფერით გამოყოფილი აქტიური „ლინკები“, ტექსტში მითითებულ ადგილებთან სწრაფად გადასასვლელად. კურსორი „ლინკთან“ მიახლოებისას შეიცვლის გამოსახულებას -

„“. (მაგ: (იხ 1.8 პუნქტი) „...ამ ინსტრუქციის [1.14](#), და [1.15](#). პუნქტებში ნაჩვენები დადგენილი წესით.“...). „ლინკზე“ დაჭერის შემდეგ გადავდივართ შესაბამისად 1.14 ან 1.15 პუნქტებში.

აღნიშნული პუნქტებიდან უკან 1.8 პუნქტში სწრაფად გადასადგილებლად, მათ ბოლოში გამოყენებულია ასევე მწვანე ფერის, მაგრამ უფრო წვრილი შრიფტის „ლინკები“. მაგ: ჩვენს შემთხვევაში [\(1.8 პუნქტში დაბრუნება\)](#)

3. სარჩევში სწრაფი გადასვლისათვის ყოველი გვერდის ბოლოს გამოყენებულია „ლინკი“ [სარჩევში დაბრუნება](#)

4. საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტზე მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქციის ელექტრონული ვერსიის ბოლოში დამატებულია მატარებლების მოძრაობასთან დაკავშირებით გამოსაყენებელი ძირითადი ბლანკების შევსებული ნიმუშები.